ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/ ახოსპირელის პირველი ჩიხი №1 შენობისა
და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

OCRD
ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა
და განვითარების ფონდი

ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/ ახოსპირელის პირველი ჩიხი №1 შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/ ახოსპირელის პირველი ჩიხი №1 შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ობიექტს. იგი მდებარეობს ძველი თბილისის რაიონში,ისტორიულ კალაში.

სიტყვა კალა მომდინარეობს არაბულიდან და ქალაქს ნიშნავს. სახელწოდებას კალა სხვადასხვა დროს განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისის განვითარების ადრეულ საფეხურებზე კალა ეწოდებოდა ქედზე მდებარე ციტადელს. გვიანფეოდალურ ხანაში კალა უკვე ქალაქის უბანია, ხოლო ციტადელს ამიერიდან ნარიყალა ჰქვია.

კალა მოიცავს შუა საუკუნეების თბილისის ყველაზე დიდ ნაწილს, რომელიც მოქცეულია მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, ნარიყალას, დადიანის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის.

კალა დღემდე ინარჩუნებს ფეოდალური ქალაქის სახესა და გეგმარებას. აქ არის თავმოყრილი შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი საკულტო ნაგებობები - მართმადიდებლური, კათოლიკური და გრიგორიანული ეკლესიები, სინაგოგა, ცეცხლთაყვანისმცემელთა სამლოცველო "ათეშგა". კალა დღემდე მდიდარია XIX საუკუნის I ნახევრისათვის დამახასიათებელი თბილისური სახლებით.

კალას მთავარ არტერიას წარმოადგენს ლესელიძის ქუჩა, რომელიც ზემო და ქვემო უბნებად ყოფს კალას. წარსულში,გარდა სავაჭრო რიგებისა,ლესელიძის ქუჩაზე გამოდიოდა საკულტო ნაგებობები და მსხვილი ქარვასლები.

ასათიანის ქუჩამდე უბნის განაშენიანება შედარებით მარტივ რელიეფზეა განლაგებული, ამის შემდეგ კი განაშენიანება ტერასებადაა შეფენილი სოლოლაკის ქედის ფერდობებზე.

კალას განვითარების ქრონოლოგიური მიმოხილვა

VI საუკუნეში სპარსელების მიერ თბილისის მოოხრების თაობაზე წერს ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი ჯუანშერი. ის მოიხსენიებს ქალაქის ორ ნაწილს: თავად თბილისს, რომელსაც დასახლების სახე აქვს და გამაგრებულ ტერიტორიას – კალას. ამ დროს კალა არ შემოიფარგლება მხოლოდ ციხით, ვითარდება ზედა მიმართულებით და აღწევს დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩამდე. ამ დროს იგება სიონის, ანჩისხატის, ბეთლემის ეკლესიები და გუარამის სასახლე.

VII საუკუნეში ქალაქი მტკვრის დინების გასწვრივ, ზევითკენ, ვითარდება. მდინარის პარალელურად გადის მთავარი ღერძი (საზოგადოებრივი ცენტრი) ახლანდელი სიონისა და შავთელის ქუჩების გაყოლებაზე.

VII-VIII საუკუნეებში თბილისის არაბმა მმართველებმა კალაში რეზიდენცია მოაწყვეს. კალას ტერიტორიაზე მდებარეობდა აბანოები და ბაზარი. ციხის კართან იყო ბაზარი (ციხის მოედანი),რომელიც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არსებობდა. ბაზრიდან მდინარის პარალელურად გადიოდა ქალაქის მთავარი ღერძი, სადაც განთავსებული იყო ტაძრები და ქართველ დიდებულთა სასახლეები. (მოგვიანებით ამ ხაზზე სახლდებიან სამეფო გვარისა და ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლები).

VIII-X საუკუნეებში თბილისი არაბთა ხელშია. არაბებმა იგი ჩრდილოეთის მთავარ დასაყრდენ პუნქტად აქციეს და თავისი მოხელის, ამირას, რეზიდენციად გახადეს. ამ პერიოდში კალა კვლავ ქალაქის დომინანტია.

XII-XIII საუკუნეებში კალა ქალაქის ყველაზე დიდი რაიონია, რომელიც ციხის კედლებს შორისაა მოქცეული. კალა ისევ სავაჭრო და საზოგადოებრივ ცენტრად რჩება მრავალი ეკლესიითა და მეჩეთით. განაშენიანება ერთსართულიანი იყო. ძირითადი ქუჩები გამართულია ხელოსნების დახლების რიგებით, სადაც ნაკეთობათა დიდი არჩევანი იყო. შენდება სასტუმრო სახლები და ქარვასლები.



1. 1735 წლის თბილისის გეგმა

XIV საუკუნეში მონღოლებისა და ჯალალ-ედ-დინის შემოსევების შედეგად კალას ბევრი უბანი განადგურდა, ხოლო გადარჩენილ ადგილებში მჭიდროდ დასახლდა მოსახლეობა.

XV საუკუნეში თბილისი ორი მუსულმანური სახელმწიფოს, ირანისა და თურქეთის, ბრძოლის არენა ხდება. საქართველო სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ იყოფა. თბილისი მხოლოდ ქართლის დედაქალაქად რჩება.

XVI საუკუნეში ქართლმა გადაიტანა 11 ომი თურქეთთან, 14 – სპარსელებთან, 30 – სხვა მეზობელ სამთავროებთან. ამ პერიოდში თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა მცირდება. რუსი ელჩების ცნობით,

ფორმატი A-3	დაჯგუფ. №	ფაილის სახელი

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ქვეკი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6 ახოსპირელის I ჩიხი საცხოვრებელი სახლის რესტავრაციის პროექტი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	მ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
მეპასრულე	ნ. ქებაძე	

OCRD
მისამართი თბილისი, ჯანაშიას ქ.№11
WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		სახელოვნებათ-მცოდნეო ჯგლევა
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ხ-1	

XVI საუკუნის ბოლოს თბილისში მხოლოდ 2 000 სახლი იდგა.

XVII საუკუნის 30-40-იან წლებში კალას შემომზღუდავი კედლის დიდი ნაწილი დანგრეულია. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, კალას კედლების მშენებლობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში იწყება. ამ დროისათვის ირანის მიერ თურქები თბილისიდან განდევნილია. სპარსელების გარნიზონი ციხეს იკავებს. როსტომმა თავის სასახლე ციხეში სპარსელებს დაუტოვა და კალაში ახალი აიშენა. როსტომის დროს (1632-1658) თბილისი გაერთიანებული ქართლ-კახეთის დედაქალაქი ხდება. მცირე ხნით მშვიდობა მყარდება და თბილისი იწყებს სწრაფად შენებას. თბილისის შენებას როსტომის მემკვიდრეებიც აგრძელებენ და ქალაქი კეთილმოწყობილი და ეკონომიკურად განვითარებული ხდება. XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან კვლავ ვითარდება ხელოსნობა და ვაჭრობა.

ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის, აღწერით, ჯერ კიდევ V-VI საუკუნეებში ჩამოყალიბებული ქალაქმშენებლობითი ღერძი მდინარის პარალელურად XVII საუკუნის ბოლომდე არსებობს (და ეს არსებითად არ იცვლება XIX საუკუნის ბოლომდე). ეს ღერძი აერთიანებს სამ დიდ მოედანს – ციხის, მეფის (ბატონის) და ანჩისხატის წინ არსებულ უსახელო მოედნებს. ქალაქის მთავარი ნაგებობები მტკვრისკენაა მიმართული (სიონი, ანჩისხატი, მეფის, კათოლიკოსის, დიდებულების სახახლეები). ",

XVIII საუკუნისთვის თბილისის მთელი ტერიტორია სამი ნაწილისგან შედგებოდა: 1) საკუთრივ ტფილისი, ქალაქის უძველესი ნაწილი, XVIII საუკუნისათვის სეიდაბადის სახელით ცნობილი (ახლანდელი აბანოებისა და ბალნეოლოგიური კურორტის რაიონი); 2) ქალაქის ცენტრალური ნაწილი – კალა, რომელიც შეიცავდა როგორც ადრეული შუა საუკუნეების კალას ტერიტორიას, ასევე მის ჩრდილოეთითა და დასავლეთით მდებარე ფართობსაც. ქალაქის ეს რაიონი შემოსაზღვრული იყო კედლით (ვახუშტის ცნობით, აგებული 1642-1667წწ. შაჰ-აბას II დროს). კედელი იწყებოდა ქალაქის ციტადელთან, მისდევდა სოლოლაკის ქედს ე.წ. შაჰის ტახტამდე. აქედან ეშვებოდა დაბლა ჩრდილოეთისაკენ, მიემართებოდა დღევანდელი შ. დადიანისა და პუშკინის ქუჩებით და ბოლოს, უხვევდა ბარათაშვილის ქუჩაზე, მტკვრისკენ. ეს კედელი, ვახუშტის გეგმის მიხედვით, გრძელდებოდა აგრეთვე მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე თათრის მოედნამდე. სამხრეთის მხრიდან კი თბილისის ამ რაიონს საზღვრავდა ძველი კალას კედელი, რომელიც "ნარიყალადან" დაშვებული წავკისის ხევის პარალელურად მოემართებოდა მტკვრის პირამდე. 3) თბილისის მესამე ნაწილს წარმოადგენდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ისანი, იგივე ავლაბარი.


XVIII საუკუნეში თბილისი ვითარდება გალავნის გარეთაც, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მიმართულებით. ქალაქის გალავანს გარეთ მოქცეულ ტერიტორიას გარეთუბანი ერქვა.

თბილისს ექვსი კარი ჰქონდა. ერთი კარი ავლაბარში იყო, დანარჩენი ხუთი – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. მათგან სამი კალაში მდებარეობდა. დაახლოებით დღევანდელი ბარათაშვილისა და შავთელის ქუჩების კუთხეში მდებარეობდა ე.წ. "წყლის კარი", იგივე "დაბლა კარი", ანუ "ქვემო კარი". ეს სახელწოდება კარმა მიიღო, რადგან ის სხვებზე დაბლა იყო განთავსებული. მასში გზა ავანაანთ ხევზე გადებული ხიდით შედიოდა. ამიტომაც ერქვა ამ კარს "წყლის კარი".

მეორე კარი, "დიღმის კარი" "შუა კარის" სახელითაა ცნობილი და მდებარეობდა დღევანდელი ბარათაშვილისა და პუშკინის ქუჩის შესაყარზე. აქედან იწყებოდა გზა დიღმისაკენ. მესამე – კალაში დატანილი კარი – "კოჯრის კარი", ანუ "მაღლა კარი" – მდებარეობდა იქ, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა თავისუფლების მოედანს უერთდება. "დიღმის კარი" "ქვემო" და "მაღლა კარს" შუა იყო, ამიტომაც ერქვა მას მეორენაირად "შუა კარი".

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ვახტანგ VI-ის მეფობის დროს, კალაში შენდება ახალი შენობები და მიმდინარეობს ძველის აღდგენა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ამ პერიოდში აღადგინეს ანჩისხატი, ჯვარისმამა, ნათლისმცემელი, სიონი. მისივე ცნობით, ამ დროს კალა ციხის კედლით ორად არის გაყოფილი.

კალა ორ ძირითად – ქვემო და ზემო – უბნებად იყოფოდა. მათ ჰყოფდა გზა, რომელიც კოჯრის კარიდან ბატონის მოედნისაკენ მიემართებოდა (ამ ხაზზე დღეს ლესელიძისა და ჩალაუბნის ქუჩები გადის). ამ ხაზის მარჯვენა მხარეს ქვემო უბანი იყო, მარცხენა მხარეს – ზემო უბანი. ამ უბნებს "ზემო" და "ქვემო" მტკვრის დინების მიხედვით ერქვა.
ორივე ამ უბანს თავისი ცენტრი ჰქონდა. ზემო უბნის ცენტრი იყო "ბატონის მოედანი", რომელსაც ზემო მოედანსაც უწოდებდნენ. ქვემო უბნის ცენტრი კი თათრის მოედანი, ანუ "ქვემო მოედანი" იყო. ამ მოედანს ციხესთან სიახლოვის გამო "ციხის მოედანსაც" უწოდებდნენ. რაკი ორივე ეს მოედანი საბაზროდ იყო გამოყენებული, ამიტომ მათ მეორენაირად "ზემო ბაზაარს" და "ქვემო ბაზაარს" უწოდებდნენ. ხოლო ამ ორი უბნის გამყოფ გზას – ახლანდელ ლესელიძის ქუჩას – "შუა ბაზარი" ერქვა. სახელწოდება ქუჩას XIX საუკუნის ბოლომდე შემორჩა. მას ენაცვლება სომხის ბაზარი.



2. 1800 წლის თბილისის გეგმა


3. 1809 წლის თბილისის გეგმა

ფორმატი A-3	დაჯგუფა №	ფაილის სახელი

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ქველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება
ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახოსპირელის I ჩიხი
სახოვრებელი სახლის
რესტავრაციის პროექტი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	გ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
შესრულა	ნ. ქებაძე	

OCRD
მისამართი თბილისი, ჯანაშიას ქ.№11
WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		სახელოვნებათ-მცოდნეო ჟურნალი
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ხ-2	

ზემო და ქვემო უბნები,თავის მხრივ,მრავალ მიკროუბნად იყოფოდა. უბანთა სახელწოდებების განმსაზღვრელი რაიმე საზოგადო ნაგებობა (ეკლესია, გალავანი, ბურჯი) ან მცხოვრებთა სახელები (მაგ: ანჩისხატის უბანი, მოღნინის უბანი,ცოცხალაანთ ბურჯის უბანი) იყო.

ქვემო და ზემო უბნები ერთმანეთისგან მაცხოვრებლების კონფესიური და ეთნიკური შემადგენლობით განსხვავდებოდა. ზემო უბანში თავმოყრილი იყო თბილისელი ქართველობა,ქვემო უბანში კი,ძირითადად,სომხები და,ნაწილობრივ, სპარსელები. ზემო უბანში მდებარეობდა ქართული მართმადიდებლური ეკლესიები: სიონის, ანჩისხატის, წმ. გიორგის, ნათლისმცემლისა და კვირაცხოველის. ამ უბანში მხოლოდ ერთი სომხური ეკლესია გახლდათ – სურბ-ნიშანი. ქვემო უბანში კი უმეტესად სომხური ეკლესიები იყო: ნორაშნის, სააკაშენის,მოღნინის,წმ. კოზმა და დამიანეს,ჯიგრაშენისა და სურბ-სტეფანოზის.

ზემო უბნის მთავარი ქუჩა "წყლის კართან" იწყებოდა, შემდეგ ანჩისხატისა და "ბატონის მოედნის" გავლით სიონამდე აღწევდა. დღეს ამ ხაზზე გამავალ ქუჩებს შავთელისა და ერეკლე II-ის ქუჩები ჰქვია. ამ მთავარ ქუჩაზე მდებარეობდა ქალაქის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი: ანჩისხატი, მეფის სასახლე,ბატონიშვილებისა და და ზოგი დიდი თავადის სასახლეები,ასევე კათალიკოსისა და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელები. ხოლო მას შემდეგ, რაც XVII საუკუნის შუა წლებში როსტომ მეფემ ციხის ტერიტორიიდან აქ გადმოიტანა სამეფო რეზიდენცია, ამ უბანს საცხოვრებლად ქართველი არისტოკრატია ეტანებოდა..




4. 1867 წლის თბილისის გეგმა

"წყლის კართან", ქალაქის შიგნით და გარეთაც, სახლდება მუხრან ბატონი,აქვეა ამილახვრის სასახლე,რომელიც 1659 წელს ქალაქის მოურავმა მანუჩარ მეითრიშვილმა შეიძინა. მის გვერდით კი ლუარსაბ ბატონიშვილის სასახლე მდგარა. აქვე დაიდო ბინა სასულიერო არისტოკრატიამაც. XVII საუკუნეში მეითრიშვილების მომიჯნავე იყო მროველის სასახლე,ხოლო მის იქით დავით გარეჯის და დოდოს მონასტრის სახლები მდგარა. ბატონის მოედნის ირგვლივ სახლებს იძენდნენ ორბელიანები. მთავარი ქუჩის მარჯვენა მხარეს ზედგენიძის სასახლე იყო. მის მეზობლად 1678 წელს დაბინავდა ჯვარისმამის წინამძღვარი. 1770 წლისათვის ჯვარისმამის წინამძღვარი თავის ახლო მეზობლად ასახელებს ალექსანდრე ამილახვარს, რომლის სასახლეც ანჩისხატის გვერდზე იდგა.

დღევანდელი ნინო და ილია ნაკაშიძეების ქუჩის ტერიტორიაზე სახლობდნენ ქსნის ერისთავები,აბაშიძეები,არაგვის ერისთავები.

1795 წელს ირანის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა აიკლო და ააოხრა თბილისი. ალა, ისევე როგორც იმდროინდელი თბილისის სხვა ნაწილები, ნანგრევებად იქცა. განადგურდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები,მეფისა და ფეოდალთა სასახლეები,ასევე დაინგრა საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი.



5. 1902 წლის თბილისის გეგმა

ფორმატი A-3	დაჯგუფ. №	ფაილის სახელი

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ქველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახოსპირელის I ჩიხი
საცხოვრებელი სახლის
რესტავრაციის პროექტი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	გ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
შესრულა	ნ. ქებაძე	

OCRD
მისამართი თბილისი, ჯანაშიას ქ.№11
WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		სახელოვნებათ-მცოდნეო ჯგლევა
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ხ-3	

კალა XIX საუკუნეში

მთელი XIX საუკუნის მანძილზე კალა ინარჩუნებდა აღმოსავლური ქალაქის არქიტექტურულ სახესა და ყოფას. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის არაერთი მოგზაური აღწერს კალას როგორც აზიური კოლორიტის მქონე ქალაქს. თბილისის ეს ნაწილი ინარჩუნებდა შუა საუკუნეების გეგმარებას ვიწრო და უსწორმასწორო ქუჩებით, რადგან მისი აღდგენა ძველის ნაფუძარზე მიმდინარეობდა. განაშენიანება ძალიან ინტენსიური იყო. მიწის ნაკვეთები – მცირე ზომისა და ირეგულარული კონფიგურაციის.

XIX საუკუნის დასაწყისში კალა იმავე საზღვრებში მოექცა როგორც XVIII საუკუნეში: აღმოსავლეთით – მტკვარი, ჩრდილოეთით – ახლანდელი ბარათაშვილის ქუჩა,დასავლეთით – პუშკინის ქუჩის,თავისუფლების მოედნისა და შალვა დადიანის ქუჩის ხაზი სოლოლაკის ხეობამდე,სამხრეთით – თვით ეს ქედი. XIX საუკუნის დასაწყისში კალას ჯერ კიდევ გალავანი ერტყა გარს,მის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში კი მთაზე აღმართული იყო ნარიყალა, ქალაქის უძველესი ციტადელი. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში კალას გალავნის კედლები,კოშკები და კარიბჭეები ნელ-ნელა გაქრა,მათი ნაწილი,დაინგრა ნაწილი კი დაანგრიეს ახალი მშენებლობებისთვის.

XIX საუკუნის დასაწყისიდან აქტიურად ვითარდებოდა გარეუბანი – კალას ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიები. ახალი უბნები მეტ-ნაკლებად გეგმიან საწყისზე ვითარდებოდა,რაც,ფაქტობრივად,კალას არ შეხებია და მისი ირეგულარული დაგეგმარება უცვლელი დარჩა მიუხედავად იმისა, რომ აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული კალა ხელმეორედ სწორედ XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში აშენდა.

ამასთან, ახალმა ქალაქმა ზურგი შეაქცია მტკვარს – ახალ უბნებში სახლები მდინარისკენ ზურგშექცევით შენდებოდა. კალას განაშენიანება კი მეტ-ნაკლებად ანგარიშს უწევდა მდინარეს. ახალი ქარვასლები, რომლებიც მტკვრის პირზე იგებოდა,მთავარი ფასადებით სწორედ მდინარისკენ იყო მიმართული.


XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ერთგვარი გადანაცვლება ხდება სოციალური თვალსაზრისით. წარსულში არისტოკრატიულ უბანს – ზემო კალას – არისტოკრატია ტოვებს და საცხოვრებლად გარეუბანს ირჩევს. კალაში უმეტესწილად ვაჭრები,ხელოსნები და წვრილი ბურჟუაზია რჩება.

XIX საუკუნეში კალა ქალაქის ერთ-ერთი ძირითადი საცხოვრებელი რაიონი და ამავე დროს სავაჭრო-სახელოსნო ცენტრია. სახელმწიფო დაწესებულებები, ძირითადად, გარეუბანში – გოლოვინის პროსპექტზე, ლაბორატორიის,გრაფის,ლორის-მელიქოვის ქუჩებზე – შენდებოდა.

კალაში სახელმწიფო უწყებების მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა. XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ყოფილი მეფის მოედნის გარშემო შენდება მთავრობის დაწესებულებათა სახლები. ამ პერიოდში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დანგრეული სამეფო სასახლის ადგილას, ძველ საძირკველზე, ნაწილობრივ ძველი მასალის გამოყენებით აშენდა Присутственные Места (ინჟ. პოდპორუჩიკი ნაბორინი). ეს შენობა საფუძვლიანად გადააკეთეს ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში. მის გვერდით (სადაც ახლა საპატრიარქოს შენობაა) 1800-იან წლებში საქართველოს მთავარმმართებლის სახლი აშენდა. ამავე პერიოდით თარიღდება ქალაქის პოლიციის შენობა,რომელიც ზემოთ ნახსენები ორი შენობის გვერდით აიგო.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის მიერ დანერგილი ახალი ინსტიტუტები – სასამართლოები, გამმიჯნავი დაწესებულებები, ადმინისტრაციული შენობები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები ახალ უბნებში შენდებოდა – ძირითადად გოლოვინის პროსპექტზე და მის მიმდებარე კვარტლებში, ერევნის მოედანსა და, ნაწილობრივ, სოლოლაკში. ძველი ქალაქის ფარგლებს გარეთ მუზეუმების, თეატრებისა და კინოთეატრებისათვის სხვადასხვა შენობა იგებოდა.

რამდენიმე ევროპული ტიპის დაწესებულება კალაშიც იყო. ეს შენობები ქალაქის ახალ ცენტრთან – ერევნის მოედანთან ახლოს იყო თავმოყრილი. სომხის ბაზარზე ტერ ასატუროვის სახლში ფუნქციონირებდა აზოვ-დონის კომერციული ბანკი. სომხის ბაზარზევე იყო რუსეთის II სადაზღვევო საზოგადოება. პუშკინის ქუჩაზე, ტერ-ასატუროვის სახლში, ფუნქციონირებდა თბილისის საკრედიტო საზოგადოება (პუშკინის ქ. № 9). სომხის ბაზარზე ბირჟის შენობაში განთავსებული იყო საზოგადოებრივი კლუბი. ამ კლუბში, სადაც უმეტესად ინტელიგენცია იკრიბებოდა, საჯარო ლექციები ეწყობოდა.



6. 1903-04 წლის თბილისის გეგმა

ფორმატი	დაჯგუფება №	ფაილის სახელი
A-3		

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ქვეყნის ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახორსპირელის I ჩიხი
საცხოვრებელი სახლის
რესტავრაციის პროექტი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	გ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
შესრულა	ნ. ქებაძე	

OCRD

მისამართი
თბილისი,
ჯანაშიას ქ.№11
WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		სახელოვნებათ-მცოდნეო ჟურნალი
თარიღი		


სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ხ-4	

ქალაქის ახალ უბნებში განთავსდა საერო სასწავლებლებიც. კალაში მხოლოდ სახელოსნოები მდებარეობდა. ეგზარქოსის მოედანზე განთავსდა განთავსებული სახელოსნო სასწავლებელი, სადაც სწავლება უფასო იყო. ოთხწლიანი სასწავლო კურსი შედგებოდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისა და სხვადასხვა ხელობისგან. კლასები ნაციონალობის მიხედვით სამ – ქართულ, რუსულ და სომხურ – ენაზე ისწავლებოდა. სასწავლებლიდან გამოდიოდნენ დურგლები,ლითონისა და ხის ხარატები,ზეინკლები,მჭედლები.

რაც შეეხება სასულიერო სასწავლებლებს, კალაში მდებარეობდა ქალთა სომხური სამრევლო სკოლა "მარიამიანი" (ნორაშენის ეკლესიის ეზოში). სომხური კათოლიკური სამრევლო სკოლა არსებობდა კათოლიკურ ეკლესიასთან (კათოლიკეების ქუჩაზე).

მრავალ საკულტო ნაგებობასთან ერთად კალაში ასევე მდებარეობდა სასულიერო დაწესებულებები. ეგზარქოსის მოედანზე (ახლანდელი ერეკლეს მოედანი) იყო საქართველოს ეგზარქოსის კანტორა, იქვე იყო მისი საცხოვრებელიც.


რაც შეეხება ფაბრიკებსა და ქარხნებს, მათგან კალაში მხოლოდ ერთი მდებარეობდა. ეს იყო აბას-აბადის 8 ნომერში განთავსებული ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხანა.



7. 1913 წლის თბილისის გეგმა

გამომცემლობები, წიგნის მაღაზიები, ბიბლიოთეკები, სტამბები და ფოტოატელიები უმეტესად გარეუბანში და მიხეილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო გაბნეული. კალაში, ვერცხლის რიგის 20 ნომერში, იყო განთავსებული სასულიერო ქართულენოვანი გაზეთი "მწყემსი", რომელიც თვეში ორჯერ გამოდიოდა. ველიამინოვისა და სომხის ბაზრის კუთხეში, წინამძღვრიშვილის სახლში, მდებარეობდა სომხურენოვანი ყოველკვირეული ილუსტრირებული პოლიტიკურ-ლიტერატურული გამოცემა "არძაგანკ". ერევნის მოედნისა და სომხის ბაზრის კუთხეში, ჯანჯუგაზოვის სახლში, განთავსებული იყო ბიბლიოთეკა, სადაც სამკითხველო დარბაზი იყო მოწყობილი.

XIX საუკუნეში თბილისში არაერთი ევროპული ტიპის კეთილმოწყობილი სასტუმრო აშენდა. საუკეთესო სასტუმროები მდებარეობდა გოლოვინის, სასახლისა და მიხეილის ქუჩებზე. კალაში არც ერთი ამ ტიპის სასტუმრო არ აგებულა, იყო მხოლოდ იაფფასიანი მებლირებული ოთახები და შემოსავლიანი სახლები. მებლირებული ოთახებს წარმოადგენდა სერგო გევენიანის "მასისი" სომხის ბაზარზე და არშაკ ტულაევის Купеческие номера მისივე საკუთარ სახლში ველიამინოვის ქუჩაზე (ახლანდელი დადიანის ქ. № 12).



8. 1922 წლის თბილისის გეგმა

ფორმატი	დაჯგუფ. №	ფაილის სახელი
A-3		

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ქვეკი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახოსპირელის I ჩიხი
საცხოვრებელი სახლის
რესტავრაციის პროექტი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	მ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
შესრულა	ნ. ქებაძე	

OCRD
მისამართი თბილისი, ჯანაშიას ქ.№11
WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		სახელოვნებათ-მცოდნეო ჯვლევა
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ხ-5	

კალაში თავმოყრილი იყო ტრადიციული სახელოსნოები და ამქრები,მაშინ როცა ქალაქის ახალ უბნებში იმკვიდრებენ ადგილს ახლადშემოსული ხელობების სპეციალისტები (მეკორსეტეები, ევროპული სამოსის მკერავები, ფოტოგრაფები). მათ კლიენტურასაც ახალი უბნების მაცხოვრებლები წარმოადგენდნენ.

სომხის ბაზარი კალას ყველაზე ხალხმრავალი და ხმაურიანი ადგილი იყო სავაჭრო დახლებითა და დუქნებით. დღის განმავლობაში ბაზარი ყოველთვის ხალხით ივსებოდა. სომხის ბაზარი შედგებოდა ორი ერთმანეთის პარალელურად განლაგებული დახლებისაგან. ისინი აგურისაგან იყო ნაგები და ორ ნაწილად იყოფოდა: წინა ნაწილი წარმოადგენდა მაღაზიას, სადაც მოვაჭრე იდგა, უკანა ნაწილი კი საწყობად იყენებდნენ. ღამით დახლები ხის ფარებით იკეტებოდა.

სომხის ბაზარში, თბილისში ჩასული ბევრი უცხოელიც ირეოდა. ისინი, ძირითადად, ვერცხლის ოსტატებთან ყიდულობდნენ ნაკეთობებს კავკასიის სამახსოვროდ. ვერცხლის ოსტატებთან შეიძლებოდა ათასგვარი წვრილმანი ნივთის შეძენა (ასევე იარაღის). ამერიკელი მოგზაური უ. ს. ნელსონი 1888 წელს ასე აღწერდა სომხის ბაზარს: „დატოვებს თუ არა მოგზაური ფართო ბულვარს მშვენიერი მაღაზიებით, ორიოდე წუთში ის აღმოჩნდება ვიწრო ქუჩების ლაბირინთში. მათ ორივე მხრიდან გაუყვება პატარა მაღაზიები, როგორებიც აღმოსავლურ ქალაქებში გვხვდება. ეს ვიწრო ქუჩები გადავსებულია სხვადასხვა ეროვნების ფეხით მოსიარულეებით და ყველა ჯურის საპალნე ცხოველებით. ეტლები ძლივს მოძრაობს, მაშინ როცა აუჩქარებლად მოძრავი აქლემები და სახედრები თავიანთი უცნაური საპალნეებით ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალებებია. თვით დუქნებიც ისეა გადაჭედილი,რომ ცარიელი ადგილი აღარ რჩება. დგას გამაყრუებელი გნიასი. ზოგ მაღაზიაში გაიგონებთ სპილენძის დიდი ფურცლების ჭედვის უწყვეტ გრუხუნს. ასე ხელით კეთდება ბევრი ნივთი. სხვა მაღაზიებში ნაირგვარ იარაღს ამზადებენ. არანაკლებ შემაწუხებელია მოვაჭრეთა ხმამაღალი ტონი, რომლითაც ისინი მერყევი კლიენტების დარწმუნებას ცდილობენ“.

სომხის ბაზრის ბოლოს მდებარეობდა მანთაშევის სავაჭრო სახლი. მას სწორკუთხა მოყვანილობა ჰქონდა, რომლის ეზოში აუზი იყო მოწყობილი. პირველი სართული,რომელიც სომხის ბაზარზე გადიოდა,მაღაზიებს ეკავა. აქედან გზა ეშვებოდა სიონის ქუჩისკენ, სადაც სამი ქარვასლა იყო განთავსებული: აფრიკიანის, ანანოვის (ხალიჩების საწყობი) და ხოჯაპარუხოვის და მაისურაძის (ტყავის საწყობი).

მაიდანზე გასვლამდე ბაზაზ-ხანა მდებარეობდა. ბაზახ-ხანა ადრე წარმოადგენდა გადახურულ გალერეას იქ განთავსებული სომხების დახლებით, რომლებიც უცხოეთიდან (მოსკოვიდან, პეტერბურგიდან, სპარსეთიდან) ჩამოტანილი საქონლით ვაჭრობდნენ.

ღვინის შესახვევში მდებარეობდა ხეროდინოვის პატარა ქარვასლა. აქ ებრაელები აწარმოებდნენ მანუფაქტურული საქონლის საბითუმო ვაჭრობას. იქვე მდებარეობდა ებრაელების საცხობი, სადაც ებრაელები პასექის წინ მაცას აცხობდნენ.



9. 1924 წლის თბილისის გეგმა

ამდენად კალა თითქმის გასაბჭოებამდე ინარჩუნებდა აზიური ქალაქის სახესა და ყოფას. ქარვასლები და ბაზრები XX საუკუნის 20-იან წლებამდე ფუნქციონირებდა. რადიკალურად შეიცვალა უბნის ცხოვრება ახალი,საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ.

გუდიაშვილის მოედანი და მიმდებარე ტერიტორია

XIX საუკუნის კალაში ექვსი მოედანი არსებობდა: გუბერნატორის (ახლანდელი ერეკლეს მოედანი), საგუბერნიო (ახლანდელი ერეკლეს მოედნის მიმდებარე ტერიტორია), აბას-აბადის (გუდიაშვილის მოედანი), პურის (პურის მოედანი), გიორგის (იერუსალიმის მოედანი), მაიდანი (ვ. გორგასლის მოედანი). როგორც ძველი რუკებიდან ჩანს გუდიაშვილის მოედანმა XIX საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო მოედნის სახე. თუმცა მჭიდრო განაშენიანება ამ ადგილას კარგად ჩანს ვახუშტის 1735 წლის რუკაზეც.

ლადო გუდიაშვილის მოედნისაკენ ქვემო კალას ქუჩებისა და ჩიხების ქსელი მიემართება. მოედანი ძირითადად გარშემორტყმულია XIX საუკუნის შუა ხანისა და XIX-XX საუკუნეების მიჯნის მხატვრულად ღირებული შენობებით. არის აგრეთვე, თანამედროვე თანამედროვე ნაგებობაც, რომლებიც ნაკლებად შეესაბამება მოედნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სახეს. მოედნის ცენტრალური ნაწილი გამწვანებულ სკვერს უკავია.

გუდიაშვილის მოედნის სიახლოვეს მდებარეობს სხვადასხვა კონფესიის საკულტო ნაგებობები. ახოსპირელის ქუჩაზე გვერდიგვერდ დგას

ფორმატი	დაჯგუფა №	ფაილის სახელი
A-3		

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ქვეყნის ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახოსპირელის I ჩიხი
საცხოვრებელი სახლის
რესტავრაციის პროექტი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	გ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
მპასრულა	ნ. ქებაძე	

OCRD
მისამართი
თბილისი,
ჯანაშიას ქ.№11
WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		სახელოვნებათ-მცოდნეო ჯგუფა
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ხ-6	

მოღნინი") აგებული 1751 წელს და წმ. გიორგისა ("მცირე მოღნინი") აგებული 1754 წელს. XX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება ანტონ კათალიკოსის ქ. № 3-ში მდებარე გუმბათიანი სინაგოგა, რომელშიც ამჟამად საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმია მოთავსებული. აბესაძის ქუჩაზე მდებარეობს ღმრთისმშობლის ამაღლების კათოლიკური ეკლესია,რომელიც 1805-1808 წწ-ში აიგო.

გუდიაშვილის მოედანი №6 / ახოსპირელის I ჩიხი №1

აღნიშნულ მისამართზე ორი ორსართულიანი სახლი დგას, რომელთაგან ერთი, ფასადით ლ. გუდიაშვილის მოედანზე გადის (სწორედ იგი წარმოადგენს საკვლევ შენობას), ხოლო მეორე საკვლევ ნაგებობას ახოსპირელის I ჩიხის მხრიდან აგრძელებს. ორივე სახლი დაირთავს მცირე ზომის ჩიხის მხარეს გახსნილ ეზოს.

საკვლევი შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ობიექტს. იგი სავარაუდოდ აგებულია XIX საუკუნის მიწურულში. სახლი ასატურ გირგიდოვს ეკუთვნოდა.


ფასადით ქუჩის მხარეს მიმართული შენობა ე. წ. რუსული აგურით არის ნაგები. საფასადე სიბრტყე შელესილია. პირველი სართულის მარჯვენა მონაკვეთი თეთრად, მარცხენა მომწვანოდ,ხოლო მეორე სართული ქვიშისფრად არის შეღებილი. ნალესობა ზოგან დამსკდარი,ხოლო ზოგან აყრილია და აგურის წყობა ჩანს.

სახლის მთავარი ფასადი არქიტექტურული ელემენტებით არის გაფორმებული. პირველი სართულის არე ნალესობაზე დატანილი რუსტიკის იმიტაციითა დაფარული. საფასადე სიბრტყე ამ მონაკვეთში ხუთი მშვილდთაღოვანი ფანჯრის ღიობით ნაწევრდება (მარჯვნიდან ორი კიდურა ფანჯრის მოხაზულობა მოგვიანებით სწორკუთხედით არის შეცვლილი), რომლებიც ზედა ნაწილებში სამ-სამი რუსტიკით არის შემკული. ფასადის მარცხენა კიდეში თაღოვანი სადარბაზო ღიობია გაჭრილი. ღიობში ხის მხატვრულად დამუშავებული კარი კიდია.

სართულებს ერთმანეთისგან თეთრად დაფერილი, ნალესობაში გამოყვანილი პროფილირებული სარტყელი ჰყოფს. მეორე სართულის მონაკვეთი უხვად არის გაფორმებული. სართულის დამანაწევრებელ ფანჯრის ექვს ღიობს სამი მხრივ ბრტყელი საპირე შემოუყვება, ფანჯრის ღიობები ზედა ნაწილებს გირლანდები და პროფილირებული ჰორიზონტალური თავსართები ამკობს. ეს უკანასკნელი პლასტიკურად დამუშავებულ კრონშტაინებს ეყრდნობა (მარცხნიდან ორ კიდურა ფანჯარას დეკორატიული ელემენტები დაკარგული აქვს). ღიობების ძირში ფასადის მთელ გაყოლებაზე პროფილირებული სარტყელია გავლებული. ფასადი პროფილირებული კარნიზითა და გლუვი პარაპეტით სრულდება.

სახლის ახოსპირელის I ჩიხის მხარეს მიმართული ფასადის ნაწილი შელესილია და ქვიშისფრად არის დაფერილი, ნაწილი კი შეულესავია. კედელი ორ-ორი სწორკუთხა ფანჯრის ღიობით ნაწევრდება. ფასადის მარცხენა კიდეში ხის კარია განთავსებული, საიდანაც სახლის აივანზე ვხვდებით.

როგორც უკვე აღინიშნა სახლი ჩიხის მხრიდან ღია ეზოს დაირთავს. შენობის ეზოში ლითონის ალაყაფის კარიდან ვხვდებით. შენობა ეზოს მხრიდანაც ორსართულიანია, თუმცა ნახევარსადარაფს დაირთავს და ამის გამო პირველი სართული დაბალი ბელეტაჟის სახეს ატარებს. სახლი ეზოს სამი მხრიდან შემოწერს და ორივე სართულზე ღია აივნების სისტემით იხსნება მის სივრცეში. აივანს ჭვირული დეკორატიული ელემენტებით



10. 1934 წლის თბილისის გეგმა



11. ხედი კალაზე მტკვრის მარცხენა სანაპირო

ფორმატი A-3	დაჯვეთა №	ფაილის სახელი

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ქვეული ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახოსპირელის I ჩიხი
საცხოვრებელი სახლის
რესტავრაციის პროექტი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. ჯავთარაძე	
მთ. არქიტ.	მ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
შესრულა	ნ. ქებაძე	

OCRD
მისამართი თბილისი, ჯანაშიას ქ.№11
WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		სახელოვნებათმცოდნეო ჯვლევა
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ხ-7	

შემკული მოაჯირი ამკობდა, ამჟამად აივნის არქიტექტურულად ღირებული ელემენტები მცირე მონაკვეთზეა შემორჩენილი. სახლის ეზოს მხარეს მიმართული ფასადების ნაწილი შემინულია, დიდი მონაკვეთი კი ამოშენებულია და ცემენტით არის შელესილი. გვიანდელი გადაკეთებების შედეგად ეზოს თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად დამახინჯებულია.

საკვლევ შენობას ახოსპირელის ქუჩის მხრიდან კიდევ ერთი ორსართულიანი შენობა აგრძელებს. ეს უკანასკნელი ჩიხის მხარეს ღია ეზოთია მიმართული. სახლი ვიწრო და სიღრმეში განვითარებული ეზო-ჰოლის მიმართ ღია აივნებით იხსნება. აივანი თავდაპირველად მოხარატებული მოაჯირით იმკობოდა, ამჟამად აივნის მცირე მონაკვეთი ამოშენებული და შელესილია, ჭვირული მოაჯირების უმეტესი ნაწილი კი შეფიცრულია.

შენობების ფიზიკური მდგომარეობა მძიმეა, დაბზარულია კედლები და დაზიანებულია გადახურვა.

საკვლევი შენობის სივრცულ-გეგმარებითი სტრუქტურა ურბანული ღირებულების მატარებელია. მაღალმხატვრული ღირებულებით გამოირჩევა სახლის ლ. გუდიაშვილის მოედანზე გამავალი ფასადი და მეზობელ შენობებთან ერთად არსებით როლს ასრულებს ამ უკანასკნელის ისტორიულად ჩამოყალიბებული სახის შენარჩუნებაში. მართალია, ეზოს დიდწილად დაკარგული აქვს არქიტექტურული გაფორმება, მაგრამ შემორჩენილ დეტალებზე დაყრდნობით თავდაპირველი სახის დაბრუნება შესაძლებელია.

რეკომენდაციები:

- შენობას უნდა ჩაუტარდეს სარეკონსტრუქციო და გამაგრებითი სამუშაოები;
- მთავარ ფასადზე უნდა მოიხსნას არსებული ნალესობა. ფასადი უნდა შეილესოს და დაიფეროს თავიდან;
- თავდაპირველი სახით უნდა აღდგეს ფასადის ყველა დაზიანებული და დაკარგული არქიტექტურული ელემენტი;
- ფასადიდან უნდა მოიხსნას დენის კაბელები და გამოიცვალოს საწვიმარი მილები;
- რესტავრაციას საჭიროებს ხის მხატვრულად დამუშავებული სადარბაზო კარი;
- მოსაწესრიგებელია ღია ეზოებისკენ მიმართული ფასადები;
- შემორჩენილ დეტალებზე დაყრდნობით უნდა აღდგეს ღია აივნები;



12. ქარვასლები მტკვარზე



13. სომხის ბაზარი და სიონის ტაძარი

ფორმატი A-3	დაჯგუფ. №	ფაილის სახელი

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ქველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახოსპირელის I ჩიხი
საცხოვრებელი სახლის
რესტავრაციის პროექტი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	გ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
შესრულა	ნ. ქებაძე	

OCRD
მისამართი თბილისი, ჯანაშიას ქ.№11
WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		სახელოვნებათ-მცოდნეო ჯგუფი
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ხ-8	

[1] ვ. ბერიძე,თბილისის ხუროთმოძღვრება,1801-1917 წლები,თბილისი,ტ. I,1960,გვ. 10.

[2] მ. ბერძნიშვილი,თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში,თბილისი,1965,გვ. 4.

[3] იქვე გვ. 5.

[4] Ю. Анчабадзе, Н. Волкова, Старый Тбилиси: Город и горожане в XIX веке, Москва, 1990, გვ. 88.

[5] ვ. ბერიძე,თბილისის ხუროთმოძღვრება,1801-1917 წლები,თბილისი,ტ. I,1960,გვ. 30.

[6] იქვე.გვ. 53.

[7] Тифлис и его окрестности, Тифлис, 1890, გვ. 45-47.

[8] Путеводитель по Тифлису, Издание К. Н. Бегичева, Тифлис, 1896 gv. 118. მოგვიანებით ბანკი გადავიდა სხვა შენობაში ლეონიძისა და მაჩაბლის კუთხეში. აზოვ დონის ბანკი დაარსეს 1871 წელს იაკობ, სამუელ და ლაზარ პოლიაკოვებმა. ის ითვლებოდა ებრაული კაპიტალის ბანკად. XX საუკუნის დასაწყისში ეს რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ბანკი იყო. ჰქონდა ფილიალები იმპერიის სამხრეთ პროვინციების მრავალ ქალაქში (დ. ხოშტარია, იაშვილის ქ. № 8, 8ა და 10 სახლების და მიმდებარე ტერიტორიის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა,ხელნაწერი,თბილისი,2006).

[9] Путеводитель по Тифлису, Издание К. Н. Бегичева, Тифлис, 1896, გვ. 118.

[10] Путеводитель по Кавказу, Григорий Москвич, 22-ое издание, Санкт-Петербург, 1915, გვ. 269.

[11] Путеводитель по Тифлису, Издание К. Н. Бегичева, Тифлис, 1896, გვ. 99.

[12] Тифлис и его окрестности, Тифлис, 1890, გვ. 47.

[13] Тифлис и его окрестности, Тифлис, 1890, გვ. 46.

[14] ქარხნის პლანტაციები მდებარეობდა ლაგოდეხში, ხოლო მთავარი მაღაზია – ერევნის მოედანზე სასტუმრო "კავკაზში". იხ. Тифлис и его окрестности, Тифлис, 1890, გვ. 57

[15] Тифлис и его окрестности, Тифлис, 1890, გვ. 59.

[16] Тифлис и его окрестности, Тифлис, 1890, გვ. 61.

[17] W. S. Nelson, On the Borders of Czardom, New England Magazine, Vol. VI, No. 6, October, 1888.

[18] А. Бахутов, Путеводитель по городу Тифлису с историко-этнографическим очерком и с планом города, Тифлис, 1913, გვ. 45-46.

[19] თბილისი, საქართველოს ძველი ქალაქები, თბილისი, 2002

[20] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №192, აღწერა №8ა, პლანშეტი №697



15. 1980 წლის ფოტო: ზენკო



14. ხედი ბოტანიკური ბაღიდან



16. 1980 წლის ფოტო: ზენკო

ფორმატი	დაჯვეთა №	ფაილის სახელი
A-3		

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახოსპირელის I ჩიხი
საცხოვრებელი სახლის
რესტავრაციის პროექტი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	მ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
შესრულა	ნ. ქებაძე	

OCRD
მისამართი თბილისი, ჯანაშიას ქ.№11
WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		სახელოვნებათ-მცოდნეო ექსპერტიზა
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ხ-9	

დეტალების ფოტოფიქსაცია


OCRD
ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა
და განვითარების ფონდი



1. მთავარი ფასადი



2. ხედი ახოსპირელის ჩიხის მხარეს



3. სარკმლის მორთულობა



4. მთავარი ფასადი



5. სარკმლის თავსართი

ფორმატი	დაჯვეთა №	ფაილის სახელი
A-3		

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ქველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახოსპირელის I ჩიხი №1
საცხოვრებელი სახლის
ანაზომი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	მ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
შესრულა	ნ. ქებაძე	

OCRD

მისამართი
თბილისი,
ჯანაშიას ქ.№11

WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		ფოტოფიქსაცია
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ფ-1	



6. ხედი ეზოს მხრიდან



7. ღია აივნის მონაკვეთი



8. ფასადი ეზოს მხრიდან



9. აივნის დეტალები



10. ხედი ეზოს მხრიდან

ფორმატი	დაჯვეთა №	ფაილის სახელი
A-3		

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ქველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახოსპირველის I ჩიხი №1
საცხოვრებელი სახლის
ანაზომი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	მ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
მპასრულა	ნ. ქებაძე	

OCRD

მისამართი
თბილისი,
ჯანაშიას ქ.№11
WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		ფოტოფიქსაცია
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ფ-2	



11. ღია აივანი



12. ღია აივნები



13. სადარბაზო კარი



14. ხის კარი



15. ხედი ეზოს მხრიდან



16. ხის კიბე

ფორმატი	დაჯვეთა №	ფაილის სახელი
A-3		

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ქველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახოსპირველის I ჩიხი №1
საცხოვრებელი სახლის
ანაზომი

	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	მ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
შესრულა	ნ. ქებაძე	

OCRD

მისამართი
თბილისი,
ჯანაშიას ქ.№11

WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		ფოტოფიქსაცია
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ფ-3	



17. ღია ეზო



18. სარდაფის მონაკვეთი



19. სარდაფის მონაკვეთი



20. სარდაფის მონაკვეთი

ფორმატი A-3	დაჯვეთა №	ფაილის სახელი

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

ზომები მოცემულია მმ-ში

შემსრულებელი

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება

ლ.გუდიაშვილის მოედანი №6
ახოსპირელის I ჩიხი №1
საცხოვრებელი სახლის
ანაზომი

		ხელმოწერა
დირექტორი	ს. კვანტარაძე	
მთ. არქიტ.	გ. ბალიაშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ჯანიშვილი	
ხელ.მცოდნე	ნ. ნაცვლიშვილი	
შესრულა	ნ. ქებაძე	

OCRD

მისამართი თბილისი, ჯანაშიას ქ.№11
WEB: WWW.OCRD.GE
E-mail: OCRD@OCRD.GE

მასშტაბი		ფოტოფიქსაცია
თარიღი		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ფ-4	